რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

VII კლასი

მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლისთვის

თბილისი

2020

რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

7

მასწავლებლის სახელმძღვანელო

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს პარლამენტი

UNDP

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები და მისი შინაარსი არ უნდა აღვიქვათ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად.

ტექსტის ავტორები: კახაბერ ურიადმყოფელი

ნინო გვარამაძე

სტილის რედაქტორი: ეკა ბუჯიაშვილი

შემოქმედებითი ჯგუფი:

კონცეფცია: დემოკრატიის ლაბორატორია

ილუსტრაციები: გამეზა [George Gamez]

დიზაინი: თეონა კერესელიძე

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

© ყველა უფლება დაცულია

© საქართველოს პარლამენტი

ISBN 978-9941-8-2689-4

სარჩევი

შესავალი 5

1. ზოგი რამ პარლამენტის ისტორიიდან 7

2. პარლამენტარიზმი საქართველოში 10

3. პარლამენტის სტრუქტურა 15

4. პარლამენტი - წარმომადგენლობითი ორგანო 16

5. პარლამენტის ფუნქციები 19

   პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია 19

   პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია 27

   პარლამენტის სხვა ფუნქციები 30

6. მოქალაქეთა მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში 32

7. საპარლამენტო კალენდარი 36

8. როგორ გავეცნოთ პარლამენტის საქმიანობას ონლაინ? 37

9. ექსკურსია საქართველოს პარლამენტში 38

10. პარლამენტის საკონტაქტო ინფორმაცია 39

დანართი 1 40

დანართი 2 44

შესავალი

წარმოგიდგენთ მეორე ნაწილს სასწავლო პაკეტისა „რა ვიცით პარლამენტის შესახებ“, რომელიც განკუთვნილია მე-7 კლასის მოსწავლეთათვის. მისი მიზანია, გააფართოოს მე-5-6 კლასში მიწოდებული ცოდნა პარლამენტის მუშაობაზე. მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ გაეცნობიან პარლამენტის საქმიანობის მიმართულებებსა და სტრუქტურას, ასევე, მასში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებს.

პირველი ნაწილის მასწავლებლის სახელმძღვანელოს მსგავსად, ეს წიგნი პედაგოგებს დაეხმარება პარლამენტზე გაკვეთილების ჩატარებაში. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია აქტივობები და რესურსები მასალის ასათვისებლად; შემოთავაზებულია გაკვეთილების ჩატარების თანმიმდევრობა; ახსნილია თითოეული საკითხისა და აქტივობის მიზანი; მასწავლებლისთვის მოცემულია დამატებითი მეთოდური ან ზოგადპედაგოგიური ინფორმაცია თითოეულ საკითხზე.

ყველა თემა იწყება მე-5-6 კლასებში გავლილი საკითხების გახსენებით, წინარე ცოდნის გააქტიურებით, რომელზეც მოსწავლე აშენებს ახალ ცოდნას. ინტერაქტიული მეთოდოლოგიის გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, რომ მაქსიმალურად გაუძლიეროს მოსწავლეს შემეცნებითი პროცესი და გაუმარტივოს მასალის აღქმა. კითხვების ნაწილს ახლავს სწორი პასუხები (ფრჩხილებში).

ეს წიგნი გამოიყენება მოსწავლის სახელმძღვანელოსთან ერთად.

გისურვებთ წარმატებებს!

მნიშვნელოვანი ინფორმაცია პარლამენტის შესახებ:

- საქართველოს პარლამენტში 150 წევრია;
- მორიგი საპარლამენტო არჩევნები 4 წელიწადში ერთხელ ტარდება;
- პარლამენტის წევრების არჩევის (არჩევნებში მონაწილეობის) უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც უკვე შეუსრულდა 18 წელი;
- პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩიონ საქართველოს მოქალაქე, რომელიც არის არანაკლებ 25 წლის; სულ მცირე, 10 წელია ცხოვრობს საქართველოში და არ აქვს მისჯილი თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს მიერ;
- პარლამენტის წევრები სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენენ, თუმცა დეპუტატს უფლება აქვს, არც ერთი პარტიის წევრი არ იყოს. პარტიებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ სხვადასხვა საკითხზე. ამომრჩეველი მათი ხედვის შესაბამისად წყვეტს, თუ ვის დაუჭერს მხარს არჩევნებზე.

1. ზოგი რამ პარლამენტის ისტორიიდან

მიზანი

მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია პარლამენტისა და მისი წარმოშობის, ასევე, თანამედროვე პარლამენტების შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემას და სიტყვა „პარლამენტის“ მნიშვნელობას; ასევე, ესაუბრება ამ ორგანოს შექმნის წინაპირობებზე და აწვდის ისტორიულ ცნობებს პირველ პარლამენტებზე. შემდეგ მიმოიხილავს დღევანდელი პარლამენტის სახეებს და მოჰყავს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს 1.1 აქტივობის შესრულებას, რომელიც მათ წარმოდგენას შეუქმნის დასახელებული ქვეყნების ადგილმდებარეობაზე.

აქტივობა 1.1

მოძებნეთ აღნიშნული ქვეყნები (აშშ, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი) ქვემოთ მოცემულ რუკაზე.

რესურსები: სახელმძღვანელოები

ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

- როგორ იმართებოდა ძველად სახელმწიფოები?
- ვინ მართავდა მათ?

ეს გახლდათ მონარქი (სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა სახელი ერქვა: მეფე, იმპერატორი, შაჰი და ა.შ.). მონარქს ერთპიროვნული ძალაუფლება ჰქონდა

— ის იყო კანონმდებელიც, აღმასრულებელიც, უზენაესი მოსამართლეც და, უმეტეს შემთხვევაში, უზენაესი სასულიერო პირიც (მონარქებს ღმერთის შვილებად ან ღმერთებადაც კი მიიჩნევდნენ).

რატომ გახდა საჭირო პარლამენტის მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბება?

რათა შეზღუდულიყო მონარქის ერთპიროვნული მმართველობა.

ერთპიროვნულ მმართველობას უამრავი საფრთხე ახლავს. ამ დროს ყველაფერი ერთ პირზეა დამოკიდებული და მთელი ქვეყანა იძულებულია, ისე იცხოვროს, როგორც ერთი ადამიანი გადაწყვეტს. პარლამენტი კი წარმომადგენლობითი ორგანოა. ეს ნიშნავს, რომ იქ წარმოდგენილია ბევრი ადამიანი და, შესაბამისად, ბევრის აზრიც. ასევე, პარლამენტში იმართება დისკუსია და გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივი მსჯელობით.

მე-13 საუკუნეში ინგლისის დიდებულებმა მოახერხეს მეფის იძულება, რომ დაეთმო თავისი უფლებამოსილებები და გადაეცა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, რომელსაც პარლამენტი ეწოდა.

საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის იდეა ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს გაჩნდა (მე-12 საუკუნეში). ოპოზიციონერებისა და მათი ლიდერის, ყუთლუ არსლანის აზრით, პირველ ქართულ პარლამენტში უნდა გაერთიანებულიყო ორი პალატა:

(1) „დარბაზი“ – არისტოკრატებისა და გავლენიანი მოქალაქეების საკრებულო, რომელიც დროდადრო შეიკრიბებოდა და მიიღებდა გადაწყვეტილებებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ხოლო მათი შესრულება დაეკისრებოდა მეფეს;

(2) „კარავი“ – ორგანო, რომელიც განუწყვეტლივ იმუშავებდა დარბაზის მოწვევებს შორის.

ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვეს მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების მომხრეებმა და, თამარ მეფის ბრძანებით, ყუთლუ არსლანი დააპატიმრეს.

დღესდღეობით არსებობს ერთპალატიანი და ორპალატიანი პარლამენტები. საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია.

ასევე ერთპალატიანია პარლამენტები უკრაინაში, შვედეთში, უნგრეთში, ისრაელში და ა.შ.

ორპალატიან პარლამენტებში არსებობს ქვედა და ზედა პალატები. მთავარ საქმეს უმეტესწილად ქვედა პალატა ასრულებს, ზედა პალატა კი მეთვალყურეობს ქვედა პალატაში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტს და მის პალატებს განსხვავებული სახელით მოიხსენიებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს **კონგრესს** ეძახიან, მის ზედა პალატას – **სენატს**, ხოლო ქვედას – **წარმომადგენელთა პალატას**. თურქეთის ერთპალატიან პარლამენტს **მეჯლისად** მოიხსენიებენ. გაერთიანებულ სამეფოში პარლამენტის ზედა პალატას **ლორდთა პალატა** ეწოდება, ხოლო ქვედას – **თემთა პალატა**. საფრანგეთის პარლამენტში კი ზედა და ქვედა პალატებს, შესაბამისად, **სენატი** და **ეროვნული ასამბლეა** ჰქვია.

განმარტება მასწავლებლისთვის:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მცირე ლექციით. 1.1 აქტივობის მეშვეობით, მოსწავლეებს წარმოდგენა შეექმნებათ პარლამენტარიზმის გავრცელების არეალზე და განუვითარდებათ რუკაზე მუშაობის უნარები.

2. პარლამენტარიზმი საქართველოში

მიზანი

მოსწავლეებმა გაიცნონ საქართველოს პარლამენ-ტარიზმისთვის მნიშვნელოვანი თარიღები და გაიხსენონ მე-5-6 კლასებში განხილული მასალა.

მასწავლებელი მოუთხრობს მოსწავლეებს, როგორ ვითარ-დებოდა პარლამენტარიზმი საქართველოში და აცნობს მნიშვნელოვან თარიღებს.

1919 წლის არჩევნებზე საუბრისას იგი განმარტავს პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობას:

პოლიტიკური პარტია – მოქალაქეთა ჯგუფის გაერთიანება საერთო იდეების გარშემო, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას.

კითხვა:

- **როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს მრავალპარტიულობა?**

სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ მრავალპარტი-ულობა გულისხმობს პარლამენტში სხვადასხვა პარტიის არსებობას. მასწავლებელი ავსებს ამ პასუხს და ამბობს, რომ **მრავალპარტიულია** სახელმწიფო, სადაც ბევრი პარტია არსებობს. მათ აქვთ თანაბარი განვითარების შესაძლებლობა და ერთმანეთს არჩევნების გზით ეჯიბრებიან. მრავალპარტიულობა ხელს უწყობს განსხვავებული აზრებისა და იდეების არსებობას. ეს, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას, რომ დაცული იყოს ყველა ჯგუფის ინტერესები.

ერთპარტიული ქვეყნის სათავეში ერთი პარტია დგას და სხვა პარტიებს არ აქვთ არსებობის საშუალება; შესაბამისად, შეუძლებელია განსხვავებული აზრის გამოხატვაც. ამის მაგალითი იყო კომუნისტური პარტია საბჭოთა საქართველოში.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებას (1921წ.) და განუმარტავს „კონსტიტუციის“ მნიშვნელობას.

კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. მასში განსაზღვრულია ადამიანის უფლებები და ის ძირითადი დებულებები, რომლებითაც იმართება სახელმწიფო.

ქალ პარლამენტარებზე საუბრისას მასწავლებელი სვამს კითხვას:

- **რატომ არის მნიშვნელოვანი ქალების ყოფნა პარლამენტში?** *(ქალები საზოგადოების ნახევარს შეადგენენ, ამიტომ მათი წარმომადგენლები უნდა იყვნენ პარლამენტში, რათა უკეთ გამოხატონ ქალთა და გოგონათა ინტერესები)*.

ისტორიული ექსკურსის შემდეგ, დღევანდელი პარლამენტის შესახებ წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- **ვინ ირჩევს პარლამენტს?** *(ხალხი)*

- **რა ჰქვია პარლამენტის წევრს მეორენაირად?** *(დეპუტატი)*

- **რა ჰქვია სხდომას, რომელშიც პარლამენტის ყველა დეპუტატი მონაწილეობს?** *(პლენარული სხდომა)*

იმავე მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ აქტივობა 2.1 და ურიგებს მათ წებოვან ფურცლებს.

აქტივობა 2.1

ოთხ წებოვან ქაღალდზე დაწერე თითო რიცხვი, რომელიც პასუხობს კითხვას დაფაზე წარმოდგენილ ცხრილში. ფურცლები დაფაზე მიაკარი შესაბამისი კითხვის გასწვრივ (ცხრილის ასლი, სწორი პასუხებით, მოცემულია ქვემოთ).

სულ მცირე, რამდენი წლის უნდა იყოს ამომრჩეველი?	18
სულ მცირე, რამდენი წლის უნდა იყოს დეპუტატი?	25
სულ მცირე, რამდენი წელი უნდა ცხოვრობდეს ადამიანი საქართველოში, რომ დეპუტატად აირჩიონ?	10
სულ რამდენი წევრია პარლამენტში?	150
რამდენ წელიწადში ერთხელ ტარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები?	4

მასწავლებელი განიხილავს მოსწავლეთა მიერ მიკრულ პასუხებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს შესწორებები. შემდეგ ის სვამს მომდევნო მნიშვნელოვან კითხვას:

- **კიდევ რა პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ ამომრჩეველი და პარლამენტის წევრი?** *(ისინი უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები)*

მასწავლებელი აუცილებლად აღნიშნავს, რომ დღევანდელი საქართველოს პარლამენტი მრავალპარტიულია.

რესურსები: სახელმძღვანელოები, წებოვანი ფურცლები, დიდი ფორმატის ფურცელი და მარკერი.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

თამარ მეფის საქართველოში პარლამენტისმაგვარი ორგანოს შექმნის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ქართველებს მხოლოდ 1906 წელს მიეცათ შესაძლებლობა, რომ თავისი წარმომადგენლები გაეგზავნათ ხელისუფლების საპარლამენტო განშტოებაში. საქართველო 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის ნაწილი გახლდათ, რუსეთის სათათბიროს დეპუტატები კი იყვნენ ნოე ჟორდანია (1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაური), ილია ჭავჭავაძე (ქართული ეროვნული მოძრაობის ფუძემდებელი), ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე (გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსები) და სხვები.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი პარლამენტი 1919 წელს შეიქმნა, არჩევნების გზით. ეს არჩევნები გამორჩეული იყო იმით, რომ მასში მონაწილეობდა ყველა, განურჩევლად სქესისა და ეთნიკური წარმომავლობისა (კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ყურადღებას გავუმახვილებთ, რომ პირველ პარლამენტში ქალებიც აირჩიეს, მაშინ, როცა იმ დროის სხვა სახელმწიფოებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქალებს არ ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა და უფლებები). მსგავსი მოვლენა მსოფლიოსთვის არ იყო ჩვეული ფაქტი. ამიტომაც, შეგვიძლია თამამად ვთქვათ,

რომ იმ პერიოდის საქართველო საკმაოდ პროგრესული გახლდათ. ეს დადასტურდა 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული პირველი ქართული კონსტიტუციითაც, რომელიც აღიარებდა ადამიანის უზენაეს უფლებებსა და ადამიანთა შორის თანასწორობას. ამ კონსტიტუციას მოქმედება არ დასცალდა: 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმია შემოვიდა და ქვეყნის ხელისუფლება იძულებული გახდა, ევროპაში გახიზნულიყო.

1921-1990 წლებში საქართველოში ერთპარტიული საბჭოთა მმართველობა დამყარდა (როგორც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე). ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას მხოლოდ კომუნისტური პარტია მართავდა. ყველა სხვა პარტია და, ზოგადად, განსხვავებული სიტყვა და აზრი არათუ იდევნებოდა, არამედ ისჯებოდა კიდეც. ამ პერიოდში სიკვდილით დასაჯეს არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და განსხვავებულად მოაზროვნე რიგითი მოქალაქე.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და კომუნისტური პარტია დამარცხდა. ამას მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეორე კონსტიტუცია (1921 წლის შემდეგ), რომელიც დღესაც მოქმედებს.

განმარტება მასწავლებლისთვის:

გამოიყენება კითხვების დასმის მეთოდი ფაქტობრივი ცოდნის გასახსენებლად. თუ მოსწავლეებს არ ახსოვთ ზოგიერთი საკითხი, მასწავლებელი აძლევს მინიშნებებს.

3. პარლამენტის სტრუქტურა

მიზანი

მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ პარლამენ-ტის სტრუქტურაზე.

პარლამენტს რთული სტრუქტურა აქვს. მისი აღქმის გასამარტივებლად, მოსწავლეებს ვთავაზობთ სურათს, მაგრამ არ ვთხოვთ ამ სტრუქტურაში გარკვევას.

მასწავლებელი უხსნის, რომ წარმოდგენილ სურათს ისინი დაუბრუნდებიან პარლამენტის ფუნქციების შესწავლისას და თანდათანობით გაეცნობიან/გაიაზრებენ ყველა სტრუქტურული ერთეულის დანიშნულებას.



საწყის ეტაპზე მასწავლებელი ზოგადად განუმარტავს მოსწავლეებს, რომ სურათზე წარმოდგენილ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში დეპუტატები არიან გაერთიანებულნი.

გარდა ამისა, პარლამენტს ჰყავს აპარატი, რომელიც პარლამენტის წევრებს ეხმარება თავიანთი ფუნქციების შესრულებაში. აპარატში დასაქმებულია რამდენიმე ასეული ადამიანი. მათ შორის არიან იურისტები, ეკონომისტები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

რესურსები: სახელმძღვანელოები, დიდი ფორმატის ფურცელზე გადატანილი პარლამენტის სტრუქტურა.

განმარტება მასწავლებლისთვის:

მე-15 გვერდზე მოცემული სურათი მოსწავლეს დაეხმარება პარლამენტის სტრუქტურის აღქმაში. ფურცელზე გადატანილი სტრუქტურა მასწავლებელს შემდგომ გაკვეთილებზეც დასჭირდება.

შესაძლოა, ფრაქციები და კომიტეტები სხვადასხვა რაოდენობის წევრებს აერთიანებდნენ. ერთი და იმავე ფრაქციის წევრები სხვადასხვა კომიტეტში მუშაობენ.

4. პარლამენტი – წარმომადგენლობითი ორგანო

პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს არის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, სადაც წყდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

პარლამენტის წარმომადგენლობითი ფუნქცია

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს არსი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ:

- **რა გზით ხვდებიან დეპუტატები პარლამენტში?** *(არჩევნების გზით)*

- **ვინ აძლევს მათ ხმას და რის მიხედვით?** *(მოქალაქეები აძლევენ ხმას იმ პარტიას ან პიროვნებას, რომლის შეხედულებებიც მეტად მოსწონთ).*

- **რა არის პარტია?** *(პარტია/პოლიტიკური პარტია – მოქალაქეთა ჯგუფის გაერთიანება საერთო იდეების გარშემო, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას).*

მაშასადამე, დეპუტატები ხალხის წარმომადგენლები არიან. ყველა ერთად (4 მილიონამდე ადამიანი) ვერ ვიქნებით პარლამენტის წევრები, ამიტომ იქ ვირჩევთ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენს პოზიციებს გამოხატავენ პარლამენტში. აქედან გამომდინარე, პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სიტყვას „წარმომადგენლობითი“ საფუძვლად უდევს „წარმომადგენელი“. ეს დაეხმარება მოსწავლეს „წარმომადგენლობითი ფუნქციის“ დამახსოვრებაში.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ფიცს, რომელსაც პარლამენტის წევრები დებენ არჩევისას და სთხოვს, ყურადღება მიაქციონ პირველივე სიტყვებს:

„მე, სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და მისდამი ანგარიშვალდებული, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ პარლამენტის წევრის უფლება-მოვალეობებს, ვიქნები კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და მთლიანობის, ხალხის ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს ძლევამოსილების დაცვის სამსახურში“.

ფრაზა - „მე, სრულიად საქართველოს წარმომადგენელი...“ - პარლამენტის წარმომადგენლობით საქმიანობაზე მიუთითებს.

პარლამენტის წევრები, როგორც ხალხის წარმომადგენლები, ვალდებულნი არიან, შეხვდნენ ამომრჩევლებს. ამისთვის სპეციალური დროც აქვთ გამოყოფილი.

ერთნაირი პოლიტიკური შეხედულებების მქონე დეპუტატები და ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრები პარლამენტში ქმნიან **საპარლამენტო ფრაქციებს**. ამ ერთეულის შემოტანისთანავე, მასწავლებელი უბრუნდება პარლამენტის სტრუქტურის ამსახველ სურათს და სვამს კითხვას:

- **რატომ არის ფრაქციების აღმნიშვნელი ჯგუფები სხვადასხვა ფერისა და ზომის?** *(იმიტომ, რომ ფრაქციებს აქვთ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება და ზომა). ფრაქცია უნდა აერთიანებდეს, სულ მცირე, 7 დეპუტატს.*

მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა ადვილად გაიაზრონ წარმომადგენლობითობის არსი და პარალელს ავლებს მათთვის ნაცნობ წარმომადგენლობით ორგანოსთან - სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. ის სვამს კითხვებს:

- **ვისგან შედგება სასკოლო საზოგადოება?** *(მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია, ტექნიკური პერსონალი და მშობლები)*

- **ვინ უნდა შედიოდეს სამეურვეო საბჭოში?** *(მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და სკოლისთვის ქველმოქმედების გამწევი პირები)*

რესურსები: სახელმძღვანელოები.

5. პარლამენტის ფუნქციები

პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ საკანონმდებლო პროცესი.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ პარლამენტის მთავარი საქმიანობა. *(სავარაუდო პასუხია: პარლამენტი იღებს კანონებს)*

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ხსნის, რომ კანონების ერთობლიობა ქმნის კანონმდებლობას. შესაბამისად, პარლამენტი ეწევა საკანონმდებლო საქმიანობას. ასევე ხაზს უსვამს, რომ სიტყვა „საკანონმდებლო“ წარმოდგება სიტყვიდან „კანონი“.

კითხვები:

- **რა ეწოდება სხდომას, რომელსაც ყველა დეპუტატი ესწრება?** *(პლენარული სხდომა)*
- **ვინ უძღვება სხდომას?** *(პარლამენტის თავმჯდომარე)*
- **ვინ უძღვება სხდომას პარლამენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში?** *(მისი ერთ-ერთი მოადგილე)*

მასწავლებელი უბრუნდება პარლამენტის სტრუქტურის ამსახველ სურათს, სადაც დასაწყისში წერია „პარლამენტის თავმჯდომარე“. იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. პარლამენტის თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას რომელიმე მოადგილე ასრულებს.

სავარაუდოდ, მოსწავლეებს უნდა ახსოვდეთ, რომ პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, კანონი პატარა ჯგუფებში - კომიტეტებში მზადდება. პარლამენტის კომიტეტები იქმნება საპარლამენტო საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის. თითოეული კომიტეტი გარკვეულ სფეროს იბარებს და, დაახლოებით, 10-19 დეპუტატს აერთიანებს (მაგ.: კანონს ზოგადი ან უმაღლესი განათლების შესახებ განიხილავს განათლების კომიტეტი, ხოლო კანონს სოფლის მეურნეობის შესახებ - აგრარულ საკითხთა კომიტეტი).

პარლამენტის კომიტეტები პირობითად არის მოცემული სურათზე და არ შეესაბამება მათ რეალურ რაოდენობას.

5.1 აქტივობის მიზანია, მოსწავლეები მიხვდნენ, რომ კომიტეტები კონკრეტულ სფეროებზე მუშაობენ. დავალებისთვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს ორი ფერის ბარათები:

ერთი ფერის ბარათებზე მან უნდა დაწეროს შემდეგი სახელწოდებები:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი
2. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი
3. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი
5. საგარეო საქმეთა კომიტეტი
6. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ყველა კომიტეტის სახელწოდება საჭირო არ არის, რადგან შესაძლოა, დავალება რთული აღმოჩნდეს ბავშვებისთვის.

ასეთი ბარათების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა რიცხვზე კლასში. მაგალითად, თუ კლასში 20 მოსწავლეა, 10 ბარათი იქნება საჭირო და ჩამოთვლილი 6 სახელწოდების ბარათებიდან 4 გამეორდება.

მეორე ფერის ბარათებზე მასწავლებელმა უნდა დაწეროს შემდეგი საკითხები:

1. კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ
2. კანონი სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების შესახებ
3. ბავშვის უფლებათა კოდექსი
4. საქართველოს ტყის კოდექსი
5. გერმანია-საქართველოს ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები
6. კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ

თითოეული ფერის ბარათების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის ნახევარს. თუ კლასში კენტი რაოდენობის მოსწავლეა, მასწავლებელიც ჩაერთვება აქტივობაში.

აქტივობა 5.1

გაიყავით 2 ნაწილად. ერთ ჯგუფს დაგირიგდებათ ერთი ფერის ბარათები, კომიტეტის სახელწოდებით, მეორეს კი - სხვა ფერის ბარათები განსახილველი საკითხით.

5 წუთის განმავლობაში თითოეულმა თქვენგანმა უნდა იპოვოს თავისი მეწყვილე.

დავალების შესრულების შემდეგ, მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს, რამდენად სწორად იპოვეს მოსწავლეებმა მეწყვილეები. ამ აქტივობის მეშვეობით, ისინი გაერკვევიან, რის მიხედვით იქმნება კომიტეტები.

მასწავლებელს მსჯელობაში შემოაქვს ახალი ცნება - **„პარლამენტის ბიურო“.** ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციაა პარლამენტის საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება. ბიუროში ერთიანდებიან: პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კანონის მისაღებად საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა და პარლამენტმა ბევრი უნდა იმსჯელოს მასზე, ვიდრე კანონად აქცევს. ასევე განუმარტავს, რომ საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენით, რომელსაც კანონპროექტსაც უწოდებენ. პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს.

კანონპროექტის განხილვის ეტაპებს მოსმენები ეწოდება. პარლამენტი კანონპროექტს 3 მოსმენით განიხილავს. ქვემოთ აღწერილ მოსმენებს ახლავს მაგალითებიც, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ გაგება.

I მოსმენაზე განიხილება კანონპროექტის ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები. დეპუტატები მსჯელობენ კონკრეტულ საკითხებზე *(მაგ.: საჭიროა თუ არა თამბაქოს მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება მის შესამცირებლად)*.

II მოსმენაზე კანონპროექტი განიხილება დეტალურად. ამ დროს დეპუტატები იმსჯელებენ, რამდენად მისაღებია კანონპროექტით შემოთავაზებული კონკრეტული წესები *(მაგ.: 1. აიკრძალოს შენობებში თამბაქოს მოხმარება; 2. ამ წესების დამრღვევი დაჯარიმდეს 50 ლარით; 3. ამ კანონის აღსრულება დაევალოს პოლიციას)***.**

III მოსმენაზე კანონპროექტში შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური ცვლილებების შეტანა *(მაგ.: ხომ არ ჯობია, მესამე პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს? ამ კანონის აღსრულებას უზრუნველყოფს პოლიცია).*

მოსმენებს შორის კანონი კომიტეტს უბრუნდება დასამუშავებლად. კანონი მიღებულად მიიჩნევა, როცა პარლამენტი მესამე მოსმენით დაუჭერს მხარს. ამის შემდეგ ის ხელმოსაწერად ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

ყოველივე ზემოთქმულის განხილვისას, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს საკანონმდებლო პროცესის ამსახველი სქემა (იხ. სურათი, გვ.24), რომელსაც წინასწარ გაამზადებს დიდი ფორმატის ფურცელზე.

საკანონმდებლო პროცესი

პარლამენტში შედის საკანონმდებლო ინიციატივა

პარლამენტის აპარატი არეგისტრირებს კანონპროექტს

ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის დაწყებაზე

I მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

I მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

II მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

II მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

III მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

III მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

კანონი ხელმოსაწერად გადაეცემა პრეზიდენტს

საკანონმდებლო პროცესის გასააზრებლად, მასწავლებელი მოსწავლეებს შესასრულებლად აძლევს 5.2 აქტივობას.

ყურადღება! დაფიდან უნდა მოიხსნას საკანონმდებლო პროცესის ამსახველი სქემა.

აქტივობა 5.2

დაიყავით ჯგუფებად. ბარათებზე მოცემულია კანონის მიღების ეტაპები.

დაალაგეთ ჯგუფებში ბარათები სწორი თანმიმდევრობით.

მასწავლებელი ამოწმებს თითოეული ჯგუფის ნამუშევარს და აძლევს უკუკავშირს.

აქტივობა 5.3 ეფუძნება მე-5 აქტივობას („კლასის წესების შემუშავება“) მე-5-6 კლასის წიგნიდან. თუ ის აქტივობა მოსწავლეებს არ შეუსრულებიათ, რეკომენდებულია ამის გაკეთება, ხოლო თუ კლასში ქცევის წესები მათ უკვე შემოღებული აქვთ, მაშინ უნდა მიჰყვნენ 5.3 აქტივობას:

აქტივობა 5.3

გადანაწილდით ჯგუფებად და განიხილეთ თქვენს კლასში მოქმედი წესები. დაფიქრდით, როგორ სრულდება ისინი. ცალ-ცალკე ჩამოწერეთ წესები, რომლებიც სრულდება და არ სრულდება. ხომ არ ითხოვს რომელიმე მათგანი შეცვლას ან დამატებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. წარუდგინეთ ნამუშევარი კლასს და კენჭი უყარეთ თითოეული ჯგუფის გადაწყვეტილებას.

ამ აქტივობის მიზანია, ბავშვები მივიდნენ კანონში ცვლილების შეტანის იდეამდე და, ამავდროულად, მოიფიქრონ მათთვის შესაფერისი წესები.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ყველა ორგანიზაციას სჭირდება თავისი მუშაობის წესები. საკუთარი წესები აქვს პარლამენტსაც. ისინი გაწერილია შესაბამისი კანონით - **პარლამენტის რეგლამენტით.**

მოსწავლეებს შესასრულებლად ეძლევათ ტესტი 1 (იხ. დანართი 1, სადაც მასწავლებლებისთვის ტესტი მოცემულია სწორი პასუხებით; პასუხების გარეშე წარმოდგენილი ვერსიის ასლი კი ურიგდებათ მოსწავლეებს).

დავალების დასრულების შემდეგ, მასწავლებელი განიხილავს ტესტს, ხოლო მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარი ნამუშევრის სისწორეს.

რესურსები: დიდი ფორმატის ქაღალდზე ასახული პარლამენტის სტრუქტურა, მარკერი, თეთრი და ფერადი ბარათები წარწერებით 5.1 აქტივობისთვის (თითო კომპლექტი თითო ჯგუფისთვის), დიდი ფორმატის ფურცელზე სქემატურად წარმოდგენილი საკანონმდებლო პროცესი, სახელმძღვანელოები.

განმარტება მასწავლებლისთვის:

ისმება კითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად. მასალის მიწოდებისას გამოიყენება აქტივობა ბარათებით (აქტივობა 5.1). ეს მოსწავლეებს ეხმარება, რომ გამოიმუშაონ ყურადღება, ასევე, სწრაფად და რაციონალურად გადაადგილდნენ სივრცეში.

აქტივობა 5.2 მოსწავლეებს დააფიქრებს საკანონმდებლო პროცესის კომპლექსურობაზე.

აქტივობა 5.3 მნიშვნელოვანია კლასში ტოლერანტული გარემოს შესაქმნელად. ყველა ჯგუფური სამუშაო ხელს უწყობს თანამშრომლობის უნარის განვითარებას მოსწავლეებში.

პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახსნან:

- **როგორ ესმით სიტყვა „კონტროლი“?**
- **რას შეიძლება ნიშნავდეს „საპარლამენტო კონტროლი“ და რას აკონტროლებს პარლამენტი?** *(როგორ მუშაობს აღმასრულებელი ხელისუფლება, რამდენად სრულდება მიღებული კანონები, რა პრობლემები არსებობს საზოგადოებაში და ა.შ.)*
- **რას ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება?** *(ეს არის მთავრობა, რომელშიც შედიან მინისტრები)*

პარლამენტის საკონტროლო საქმიანობის სახეთა გასააზრებლად, მოსწავლეებს ეძლევათ აქტივობა 5.4. ისინი იყოფიან ჯგუფებად და დამოუკიდებლად ამუშავებენ მცირე ზომის ტექსტს, რომლის შინაარსიც უნდა აუხსნან სხვა ჯგუფების წევრებს.

აქტივობა 5.4

გაიყავით 4 ჯგუფად. დაინაწილეთ და წაიკითხეთ თითო ტექსტი. იმსჯელეთ ჯგუფში მის შესახებ და შემდეგ აუხსენით დანარჩენ კლასს ტექსტის შინაარსი. ახსნისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნახატი, ნახაზი და ა.შ.

ა) როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ისე კომიტეტებში, დროდადრო იწვევენ და უსმენენ მინისტრებსა თუ სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირებს. დეპუტატები მათ კითხვებს უსვამენ.

ბ) პარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს სხვადასხვა ორგანოსა თუ მათ ხელმძღვანელებს და მიიღოს სათანადო პასუხები. ეს კითხვა-პასუხი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

გ) როგორ მუშაობს მიღებული კანონები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, კომიტეტები, კანონის ამოქმედებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ამოწმებენ მის მუშაობას რეალობაში. ისინი ეცნობიან სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოქალაქისგან მიღებულ ინფორმაციას, შემდეგ კი წყვეტენ, რამდენად ესაჭიროება კანონს ცვლილება, ან რა ღონისძიებები უნდა გატარდეს კანონის უკეთ აღსრულებისთვის.

დ) პარლამენტში შეიძლება შეიქმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებს და მოამზადებს ანგარიშს.

მონიშნეთ უცხო ტერმინები და დაასახელეთ პრეზენტაციისას.

(დ) პუნქტში უცხო ტერმინია **„თემატური მოკვლევის ჯგუფი“**.

მაგალითი: 2018 წელს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა დაიწყო თემატური მოკვლევა თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ. პროცესმა ბევრი საინტერესო ფაქტი გამოავლინა, მაგალითად, ის, რომ ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სამშენებლო მტვერი.

თითოეული ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ, მასწავლებელი აზუსტებს და აჯამებს შინაარსს.

5.5 აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა კითხვებით შეიძლება მიმართონ დეპუტატებმა მთავრობის წევრებს. თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ კითხვების მოფიქრება, მასწავლებელს თვითონ მოჰყავს მაგალითები (მოცემულია ფრჩხილებში).

აქტივობა 5.5

გადანაწილდით ჯგუფებში. გაეცანით სამინისტროთა მოკლე ჩამონათვალს.

მოიფიქრეთ 2 კითხვა, რომლებითაც პარლამენტის წევრმა შეიძლება მიმართოს თითოეულ სამინისტროს.

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო *(როგორია დანაშაულის გამოძიების დონე 2020 წელს?)*

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო *(რამდენი ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდება მომავალი სასწავლო წლისთვის?)*

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის *სამინისტრო (რა ზომები მიიღეთ გადამწვარი ტყის მასივის აღსადგენად?)*

4. *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (როდისთვის იგეგმება უახლოესი სამხედრო წვრთნები?)*

5. ეკონომიკის სამინისტრო *(როგორია მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა/ვარდნა წლის ბოლომდე?)*

რესურსები: დიდი ფორმატის ქაღალდზე ასახული პარლამენტის სტრუქტურა; სახელმძღვანელოები.

განმარტება მასწავლებლისთვის:

აქტივობა 5.4 აგებულია „თანატოლ განმანათლებელთა“ პრინციპზე. მოსწავლეები ცდილობენ, თვითონ გაერკვნენ საკითხში და შემდეგ აუხსნან სხვებსაც.

5.5 აქტივობაში მთავარია, მოსწავლეებმა გაიაზრონ სამინისტროთა მოქმედების სფეროები. ამით ისინი გაერკვევიან დეპუტატთა მხრიდან შეკითხვების დასმის არსში.

პარლამენტის სხვა ფუნქციები

მიზანი

მოსწავლეები გაეცნონ პარლამენტის შემდეგ ფუნქციებს: მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, თანამდებობის პირთა არჩევა და გადაყენება, ბიუჯეტის მიღება, საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციების გარდა, პარლამენტს აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც. ესენია:

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება – საკითხს, თუ ვინ უნდა იყვნენ მთავრობის წევრები (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები), წყვეტს პარლამენტი. ამ პროცესს ეწოდება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება. პარლამენტს ასევე უფლება აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს მას და აირჩიოს ახალი მთავრობა.

კითხვები:

- **როგორ ფიქრობთ, რა საშუალებით წყვეტს პარლამენტი ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებას?** *(კენჭისყრით)*

თანამდებობის პირთა არჩევა და გადაყენება – მთავრობის წევრების გარდა, პარლამენტი ირჩევს სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირსაც (მაგ.: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს). პარლამენტს აქვს ზოგიერთი მათგანის გადაყენების უფლებაც. გარკვეულ თანამდებობის პირთა გადაყენების პროცედურას **იმპიჩმენტი** ეწოდება. მაგალითად, პარლამენტს შეუძლია, იმპიჩმენტის წესით გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი.

კითხვა:

- **როგორ ფიქრობთ, რა უნდა უძღოდეს წინ კენჭისყრას თანამდებობის პირთა არჩევასა ან გადაყენებაზე?** *(არგუმენტირებული დასაბუთება)*

ბიუჯეტის მიღება – ბიუჯეტი ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა. ის ჩვენი გადასახადებით ივსება და, საბოლოოდ, ჩვენს საერთო ინტერესებს ხმარდება. ყოველი წლის ბოლოს პარლამენტი ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომლის პროექტსაც პარლამენტში მთავრობა წარადგენს. დეპუტატები ბევრს მსჯელობენ ქვეყნის ბიუჯეტის გადანაწილებასა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაზე.

ბიუჯეტის მიღების მიზნის უკეთ გასაგებად, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს 5.6 აქტივობის ჯგუფურად შესრულებას. ამისთვის ის ურიგებს წინასწარ გამზადებულ ბარათებს, სხვადასხვა სფეროს წარწერებით (თითო ჯგუფს თითო კომპლექტს).

აქტივობა 5.6

წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილება გევალებათ. იმსჯელეთ ჯგუფში და ბარათები (წარწერებით: „განათლება“, „თავდაცვა“, „ჯანდაცვა“, „სპორტი“, „სოფლის მეურნეობა“, „კულტურა“ და ა.შ) დაალაგეთ იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროს გამოუყოფდით მეტ ფულს. არჩევანი დაასაბუთეთ.

საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა – პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასაწყისში ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. დეპუტატებს საშუალება ეძლევათ, სიტყვით გამოვიდნენ და შეაფასონ პრეზიდენტის მოხსენება.

კითხვა:

- **როდის იწყება საგაზაფხულო სესია პარლამენტში?**

რესურსები: სახელმძღვანელოები, ბარათები 5.6 აქტივ-ობისთვის.

6. მოქალაქეთა მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობა.

მასწავლებელი ატყობინებს მოსწავლეებს, რომ განიხილავენ მოქალაქის საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობებს.

კითხვა:

- **როგორ ფიქრობთ, რა გზით შეუძლია მოქალაქეს მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში?**

პასუხების მიღების შემდეგ, ის ეუბნება მოსწავლეებს, რომ სრულწლოვან მოქალაქეს შეუძლია კანონპროექტის წარდგენა, თუ შეაგროვებს 25 000 მოქალაქის ხელმოწერას.

კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად კი საჭიროა 200 000 ხელმოწერა. იმართება დისკუსია 2 კითხვის გარშემო:

- **რატომ არის საჭირო 25 000 ხელმოწერის შეგროვება საკანონმდებლო ინიციატივისთვის?** *(თუ 25 000 ხელმოწერა შეგროვდა, ეს ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ინიციატივა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ინტერესში შედის და საჭიროა მისი განხილვა)*

- **რატომ არის საჭირო უფრო მეტი ხელმოწერის შეგროვება კონსტიტუციაში ცვლილების შესატანად?** *(კონსტიტუციაში განსაზღვრულია ქვეყნის მართვის ძირითადი დებულებები. მასში ცვლილებები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შედის. ამიტომ, ჩვეულებრივი კანონპროექტის წარდგენისგან განსხვავებით, მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი უნდა ხედავდეს ცვლილების აუცილებლობას)*

ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია ვებგვერდზეც. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს პარლამენტის ვებგვერდს http://www.parliament.ge, ან შინ დაავალებს მის ნახვას.

მოქალაქეებს შეუძლიათ **კომიტეტის სხდომებში მონაწილეობა**, მათ შორის, საკუთარი აზრის გამოთქმაც. ამისთვის პირმა წინასწარ უნდა მიმართოს პარლამენტს. მოქალაქეებს უფლება აქვთ, ჩაერთონ ისეთ პროცესებშიც, როგორიცაა კომიტეტში მიმდინარე თემატური მოკვლევა და კანონების აღსრულების კონტროლი (მაგ.: გაუგზავნონ თავიანთი მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში და ა.შ.).

მოქალაქეს ან რომელიმე ორგანიზაციას შეუძლია, პარლამენტს მიმართოს საკანონმდებლო წინადადებითაც და რაიმე იდეა მიაწოდოს. ამას ხელმოწერები არ სჭირდება. თუ წინადადება პარლამენტს მოეწონება, შეუძლია, კანონპროექტად აქციოს და შესაბამისი სახით განიხილოს.

პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, რომლებსაც ეს ორგანო განიხილავს. მოქალაქეებს შეუძლიათ, ვებგვერდზევე დატოვონ კომენ-ტარი ნებისმიერი კანონპროექტის შესახებ. კომიტეტი ვალდებულია, განიხილოს თითოეული ასეთი მოსაზრება.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს 6.1 აქტივობას კლასში შესასრულებლად.

აქტივობა 6.1

ხომ არ გაქვს წინადადება, რომელსაც გინდა, კანონის სახე ჰქონდეს?

იქნებ გიფიქრია: „ნეტავ, ასეთი კანონი არსებობდეს!“

შესაძლებელია, მოსწავლეებს არ ჰქონდეთ პასუხი 6.1 აქტივობისთვის.

6.2 აქტივობის დახმარებით, მოსწავლეები დაინახავენ განსხვავებას საკანონმდებლო ინიციატივას, საკანონმდებლო წინადადებასა და კანონპროექტზე კომენტარს შორის.

აქტივობა 6.2

გადაიხაზე ცხრილი. მარცხენა სვეტში ჩამოწერილი დებულებების მიხედვით, მარჯვენა სვეტში ადგილი მიუჩინე ტერმინებს ჩართულობის სახეების შესახებ:

საკანონმდებლო ინიციატივა, საკანონმდებლო წინადადება, კომენტარი კანონპროექტზე.

დებულება	**ჩართულობის სახე**
„25-ე მუხლი ბუნდოვანია“	კომენტარი კანონპროექტზე
„შესაძლებელი იყოს არჩევნებში ელექტრონულად ხმის მიცემა“	საკანონმდებლო წინადადება
„შევიდეს ცვლილება გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლში“	საკანონმდებლო ინიციატივა

პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა მოქალაქეებს შეუძლიათ სხვა ფორმითაც.

მოქალაქეებს შეუძლიათ, **პეტიციითაც** მიმართონ პარლამენტს. ეს არის არანაკლებ 300 პირის მიმართვა ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხისა თუ პრობლემის შესახებ (მაგ.: მოქალაქეებმა შეიძლება პეტიციით მიმართონ პარლამენტს, რომ აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით გადაადგილება; 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - გამოცხადდეს უქმედ და ა.შ.). პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობითაც. თუ პეტიციას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება, მოსალოდნელია, რომ პარლამენტი დააკმაყოფილებს მას.

აქტივობა 6.3

მოიფიქრე იდეა პეტიციისთვის.

მოსწავლეებს შესასრულებლად ეძლევათ ტესტი 2 (იხ. დანართი 2, სადაც მასწავლებლებისთვის ტესტი მოცემულია სწორი პასუხებით; პასუხების გარეშე წარმოდგენილი ვერსიის ასლი კი ურიგდებათ მოსწავლეებს).

დავალების შესრულების შემდეგ, მასწავლებელი განიხილავს ტესტს, ხოლო მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარი ნამუშევრის სისწორეს.

რესურსები: სახელმძღვანელოები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი (სასურველია).

განმარტება მასწავლებლისთვის:

საკითხის განხილვისას გამოიყენება დისკუსიის მეთოდი, რაც მოსწავლეს უვითარებს ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე, საკომუნიკაციო უნარებს.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

ასაკის გამო, მოსწავლეები თვითონ ვერ შეძლებენ პარლამენტთან ურთიერთობის მექანიზმების გამოყენებას, თუმცა მათ შეუძლიათ ოჯახის სრულწლოვან წევრთა წახალისება. მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ ამ შესაძლებლობების გაცნობა ოჯახის უფროსი წევრებისთვის.

7. საპარლამენტო კალენდარი

პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულია საპარლამენტო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა თარიღები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. შესაბამისად, ეს ღონისძიებები/ მოვლენები ყოველწლიურად შემდეგ თარიღებში იმართება:

საპარლამენტო ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები:

თებერვლის პირველი სამშაბათი – საგაზაფხულო სესიის გახსნა;

თებერვლის პირველი კვირა – პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა;

ივნისი – პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა;

ივნისის ბოლო პარასკევი – საგაზაფხულო სესიის დახურვა;

სექტემბრის პირველი სამშაბათი – საშემოდგომო სესიის გახსნა;

1 ოქტომბერი – მთავრობა პარლამენტს განსახილველად წარუდგენს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს;

დეკემბრის მესამე პარასკევი – საშემოდგომო სესიის დახურვა.

8. როგორ გავეცნოთ პარლამენტის საქმიანობას ონლაინ?

პარლამენტის საქმიანობა ღია და გამჭვირვალე პროცესია. მოქალაქეებს უფლება აქვთ, თვალი ადევნონ მას და მუდმივად იღებდნენ ინფორმაციას ამ ორგანოში მიმდინარე მოვლენებზე.

ტექნოლოგიური პროგრესი საშუალებას იძლევა, სულ უფრო გამარტივდეს საპარლამენტო სიახლეებზე წვდომა. სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე ასეთი ელექტრონული საშუალების შესახებ.

მასალის ათვისების შემდეგ, მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსური დავალება:

შექმენი ბუკლეტი პარლამენტის შესახებ და წარუდგინე კლასს.

პრეზენტაციისას წარმოაჩინე:

- პარლამენტის სტრუქტურა;
- პარლამენტის საქმიანობა.

დავალების შესასრულებლად, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შემდეგ მითითებებს:

- ბუკლეტის გაკეთება შეგიძლია A4 ზომის ფურცლის სამად დაკეცვით;
- შეადგინე მოკლე საინფორმაციო ტექსტები პარლამენტის საქმიანობაზე;
- მოიძიე ან დახატე სურათები, რომელთა განთავსებაც გსურს ბუკლეტში;
- შეარჩიე შენთვის მისაღები განლაგება ტექსტისა და სურათებისთვის.

მოსწავლეებმა უნდა გამართონ ნამუშევრის პრეზენტაცია.

9. ექსკურსია საქართველოს პარლამენტში

სახელმძღვანელოს გავლის შემდეგ, მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ექნებათ საპარლამენტო ცხოვრებაზე. ამიტომ, ამ საკითხების ამოწურვის შემდგომ, ყველაზე ხელსაყრელი და ნაყოფიერი იქნება ექსკურსიის დაგეგმვა პარლამენტში.

ექსკურსიის დაგეგმვის პროცედურები მოცემულია სახელმძღვანელოში.

კარგი იქნება, თუ შესაფერისი დღე შეირჩევა მოსწავლეთა ჩართულობით და კენჭისყრით.

მოსწავლეთა ჩართულობითვე შეიმუშავეთ ქცევის წესები ექსკურსიისთვის.

10. პარლამენტის საკონტაქტო ინფორმაცია

პარლამენტთან ურთიერთობისას აუცილებელია, მოსწავლეებს შევახსენოთ, რომ ისინი არიან არასრულწლოვნები (ჯერ არ მიუღწევიათ 18 წლისთვის).

რა თქმა უნდა, მათ აქვთ უფლება, თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ დეპუტატებს, მაგრამ თუ სურთ, რომ ოფიციალურად მიმართონ პარლამენტს, დასჭირდებათ კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მეურვე) დახმარება.

მის: 0118, თბილისი, რუსთაველის გამზირი 8

ტელ**:** +995 32 2 28 16 79

ელფოსტა**:** contact@parliament.ge

დანართი 1

ტესტი 1

შემოხაზე სწორი პასუხი

1. ***პარლამენტი შეიძლება იყოს:***

   ა) ერთპალატიანი ან ორპალატიანი

   ბ) მხოლოდ ორპალატიანი

   გ) ორპალატიანი ან სამპალატიანი

2. ***საქართველოს პარლამენტი არის*:**

   ა) ერთპალატიანი

   ბ) ორპალატიანი

   გ) სამპალატიანი

3. ***საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა:***

   ა) 1918 წელს

   ბ) 1919 წელს

   გ) 1990 წელს

4. ***დეპუტატი ჰქვია*:**

   ა) ყველას, ვინც პარლამენტში მუშაობს

   ბ) პარლამენტის წევრს

   გ) პარლამენტის გამორჩეულ წევრს

5. ***პარლამენტის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას*:**

ა) იყოს არანაკლებ 25 წლის

ბ) იყოს საქართველოს მოქალაქე

გ) სულ მცირე, 10 წელი ცხოვრობდეს საქართველოში

დ) სამივე პასუხი სწორია

6. ***რომელი დებულებაა სწორი?***

ა) დეპუტატი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე პარტიის წევრი

ბ) დეპუტატებს ირჩევს ხალხი

გ) ფრაქციაში უნდა გაერთიანდეს, სულ მცირე, 8 დეპუტატი

7. ***რომელი დებულება არ არის სწორი?***

ა) კანონპროექტი მიიღება პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრით

ბ) კანონის მიღების ეტაპებს მოსმენები ეწოდება

გ) კანონს საბოლოოდ ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე

8. ***რეგლამენტი არის*:**

ა) მთავრობის მუშაობის წესები

ბ) კანონი, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის მუშაობის წესს

გ) დრო, რომელიც გამოეყოფათ დეპუტატებს სამუშაოდ

ტესტი 1 - მასწავლებლისთვის (სწორი პასუხებით)

შემოხაზე სწორი პასუხი

1. ***პარლამენტი შეიძლება იყოს:***

   ა) ერთპალატიანი ან ორპალატიანი ***(სწორია)***

   ბ) მხოლოდ ორპალატიანი

   გ) ორპალატიანი ან სამპალატიანი

2. ***საქართველოს პარლამენტი არის*:**

   ა) ერთპალატიანი (***სწორია***)

   ბ) ორპალატიანი

   გ) სამპალატიანი

3. ***საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა*:**

   ა) 1918 წელს

   ბ) 1919 წელს (***სწორია***)

   გ) 1990 წელს

4. ***დეპუტატი ჰქვია*:**

   ა) ყველას, ვინც პარლამენტში მუშაობს

   ბ) პარლამენტის წევრს ***(სწორია)***

   გ) პარლამენტის გამორჩეულ წევრს

5. ***პარლამენტის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას*:**

ა) იყოს არანაკლებ 25 წლის

ბ) იყოს საქართველოს მოქალაქე

გ) სულ მცირე, 10 წელი ცხოვრობდეს საქართველოში

დ) სამივე პასუხი სწორია ***(სწორია)***

6. ***რომელი დებულებაა სწორი?***

ა) დეპუტატი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე პარტიის წევრი

ბ) დეპუტატებს ირჩევს ხალხი ***(სწორია)***

გ) ფრაქციაში უნდა გაერთიანდეს, სულ მცირე, 8 დეპუტატი

7. ***რომელი დებულება არ არის სწორი?***

ა) კანონპროექტი მიიღება პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრით

ბ) კანონის მიღების ეტაპებს მოსმენები ეწოდება

გ) კანონს საბოლოოდ ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე ***(სწორია)***

8. ***რეგლამენტი არის*:**

ა) მთავრობის მუშაობის წესები

ბ) კანონი, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის მუშაობის წესს (***სწორია***)

გ) დრო, რომელიც გამოეყოფათ დეპუტატებს სამუშაოდ

დანართი 2

ტესტი 2

შემოხაზეთ სწორი პასუხი

1. ***საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი გზა არის:***

   ა) მინისტრების/თანამდებობის პირების მოსმენა

   ბ) სამინისტროების ვებგვერდის შესწავლა

   გ) კანონის მიღება

2. ***პარლამენტის ფუნქციებში არ შედის*:**

   ა) მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება

   ბ) თანამდებობის პირთა არჩევა და გადაყენება

   გ) სამინისტროების ყველა თანამშრომლის დანიშვნა

3. ***პარლამენტის ფუნქციებში შედის*:**

   ა) ბიუჯეტის მიღება

   ბ) საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა

   გ) ორივე

4. ***საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა მოქალაქეებს შეუძლიათ:***

   ა) 30000 ხელმოწერის შეგროვებისას

   ბ) 25000 ხელმოწერის შეგროვებისას

გ) ხელმოწერების შეგროვების გარეშე

5. ***პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობის ფორმებია*:**

ა) მონაწილეობა კომიტეტის სხდომებში

ბ) საკანონმდებლო წინადადებით მიმართვა

გ) ორივე პასუხი სწორია

6. ***რომელი დებულებაა სწორი?***

ა) პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა პეტიცია

ბ) პეტიციას არანაკლებ 300 ხელმოწერა სჭირდება

გ) ორივე პასუხი სწორია

ტესტი 2 - მასწავლებლისთვის (სწორი პასუხებით)

შემოხაზეთ სწორი პასუხი

1. ***საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი გზა არის:***

   ა) მინისტრების/თანამდებობის პირების მოსმენა ***(სწორია)***

   ბ) სამინისტროების ვებ-გვერდის შესწავლა

   გ) კანონის მიღება

2. ***პარლამენტის ფუნქციებში არ შედის*:**

   ა) მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება

   ბ) თანამდებობის პირების არჩევა და გადაყენება

   გ) სამინისტროების ყველა თანამშრომლის დანიშვნა ***(სწორია)***

3. ***პარლამენტის ფუნქციებში შედის*:**

   ა) ბიუჯეტის მიღება

   ბ) საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა

   გ) ორივე ***(სწორია)***

4. ***საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა მოქალაქეებს შეუძლიათ*:**

   ა) 30000 ხელმოწერის შეგროვებისას

   ბ) 25000 ხელმოწერის შეგროვებისას ***(სწორია)***

გ) ხელმოწერების შეგროვების გარეშე

5. ***პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია*:**

ა) მონაწილეობა კომიტეტის სხდომებში

ბ) საკანონმდებლო წინადადებით მიმართვა

გ) ორივე პასუხი სწორია ***(სწორია)***

6. ***რომელი დებულებაა სწორი?***

ა) პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა პეტიცია

ბ) პეტიციას არანაკლებ 300 ხელმოწერა სჭირდება

გ) ორივე პასუხი სწორია ***(სწორია)***